ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 204
ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

# ივერია

№ 204
ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**სალომე ონანის ასული და გრიგოლ დიმიტრის ძე ელიზბაროვნი, ეფემია დიმიტრის ასული და თევდორე ივანეს ძე ლაზაროვნი, ანნა დიმიტრის ასული და ივანე გრიგოლის ძე მჭედლოვნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა

## აბრაამ დიმიტრის ძის ელიზბაროვისას.

განსვენებულის გვამს სადგომიდგან (ჩუღურეთი) წაასვენებენ კალოუბნის ეკკლესიაში კვირას, 28 სექტემბერს.
პანაშვიდი ყოველ-დღეა, საღამოს 7 საათზედ.
(2—155—1)

## ქ. ქუთაისში
## კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
# სალომე ი. კერესელიძე

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან საღამოს 6-მდე.
მიხეილის ქუჩა, შნეიდერის სახლები.
(30—147—5)

## ნაფიცი ვექილი
ძ. მიხეილ ნიკოლოოზის ძე
## ვეზიროვი

გადავიდა სუდებნი ქუჩაზედ, მულინის სახლში, № 30, შესავალი დავიდოვის ქუჩიდამ.

მყურველთ მიიღებს 8—10 საათამდე დილით და საღამოს 6—8 საათამდე.
(2—6.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ნ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ნ. ა. ნავასარდიანი**. 7—7½ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს დ სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმპართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памяти. Воронцову.
(—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

დილით:

**ვ. ი. ჯიჯინაძე**.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ბ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ. (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით).

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**იაგ. ქ. ადამიანი**—შინაგანი (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით)—12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი**.—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**კ. ი. გძელიშვილი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—2—3 საათ. (სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით).

**ვ. მ. მახვილაძე**—ბავშვებისა და უვაკილის აცრა—2—3 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე**.—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

კვირას, 26 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

ს ა გ ა ნ გ ე ბ ო
## საზოგადო კრება
ქართველთა საღებ-მიცემო ამხანაგ.
## „შუამავალის“.

განსახილველია დროებითი გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების მდგომარეობის შესახებ.

ამხანაგობის წევრთ ცალკ-ცალკე ბარათები არ გაეგზავნებათ.

რადგანაც ეს კრება მეორეა, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერად ჩაითვლება. (3—6.—2)

## მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნენ ნიჟნი-გოროდის დრაგუნთა მე-44 რაზმის პოდპოლკოვნიკი ყარანგოზიშვილი ასტრახანის დრაგუნთა მე-22 რაზმის უფროსად. ფოსტა-ტელეგრაფის მე VI ხარისხის მოხელედ ნამყოფი ილარიონ ლომანჯავა—ცაგერის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელედ; მოქალაქე იაკინთე მახარაძე—ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მცირე ჯამაგირიან ფოსტალიონად.

გადაყვანილ იქმნა ზოგჯიმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელე მირიან მირიანაშვილი დუშეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან მისისავე თხოვნის თანახმად ყვირილის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი აკობ მიქელაძე.

## ახალი ამბავი

—

*** ქართული საიუბილეო წარმოდგენა, რომელიც დანიშნული იყო 26 სექტემბრისათვის ქართული სამუდამო დრამატიულ დასის დაარსების დღიდგან 20 წლის გასვლის სახსოვრად, როგორც შევიტყეთ, გადადებულ იქმნა 3 ოქტომბრისათვის.

*** ტფილისში ჩამოვიდა მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საგანგებო მინდობილებათა მოხელე ფ. ტ. მარკოვი.

*** რადგან გზათა მინისტრს ხილკოვს, რომელსაც ამ მოკლე ხანში ტფილისში მოელიან, განზრახვა ჰქონია დაათვალიეროს ყარსის რკინის გზაზედ ის ადგილი, საცა 17

## ფელეტონი

—

**ა ჭ ა რ ა**

(შემდეგი *)

ამ დროს მთავარ სარდალს მოსდიოდა სულთანისაგან ბრძანება: „დაეცი ახალციხეს და აიღე ისაო“. ამაზედ შერიფ-ბეგი შემდეგ პასუხს აძლევდა: „ყოვლად შეუძლებელია ამის შესრულება, რადგანაც ახალციხეს სამი ჩვენი ჯარის ოდენა რუსის ჯარი ჰდარაჯობს და შეიძლება გაგვწყვიტონო. ისევ სჯობია საზღვრები გავიმაგრო და მტერი ჩემ საზღვრებში როგორმე არ შემოუშვაო“. ეს საქმის გასაგრძელებელი და სულთანის თვალის ასახვევი პასუხი იყო, თორემ რვა ათასი დასვენებული და ომს მოწყურებული აჭარელი რომ ახალციხეს იმ დროში დასცემოდნენ, თუ არ გაანადგურებდა, ზიანს მაინც დიდს მისცემდა, რადგანაც ამ დროს აჭარის მხრით დაიმედოვნებული რუსის ჯარი არც ომის შესახებ ფიქრობდა რასმეს და რიცხვითაც მხოლოდ ოთხასამდე ჯარის-კაცი იდგა ახალციხეში.

ყოველსავე ამას აჭარის ბეგი დაწვრილებით ატყობინებდა რუსეთის წარმომადგენლებს და ზოგჯერ, ომს მოწყურებულ ჯარის გასართობათ, რუსებს საზღვრებზედ სროლას აუტეხდა ხოლმე, რომ ამით ეჩვენებინა, რომ ის ამ ადგილებში უსაქმური არ იყო. ამ რიგად გააჩერა ჯარი და აუხვია თვალი ოსმალეთის მთავრობას ამ ორ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანობის ჩამოვარნამდის. როცა რუს ოსმალთა შორის ზავი ჩამოვარდა, შერიფმაც მიიღო ბრძანება სულთანისაგან, რომ რადგანაც ომი გათავებულად ცნობილი იყო, ჯარისაგან სამხედრო იარაღი და ტყვია წამალი მოეკრიბა და ბათუმში გაეგზავნა. შერიფ-ბეგზედ ოსმალოს მთავრობას არავითარი ეჭვი არ შეუტანია, ყველა მის მიერ ხელს დახვეული მიზეზი გონიერ მოსაზრებად მიიღეს.

უკანასკნელი და გამოსათხოვებელი სულთანის ბრძანება შერიფ-ბეგმა შეასრულა: რვა ათასი პიბოდის სისტემის მსწრაფლ-მსროლელი თოფი, რომლითაც აჭარის ჯარი იყო შეიარაღებული, თავისის ტყვია-წამლით შეჰკრიბა, სკივრებში ჩაალაგა და ცხენებით ბათუმს გაჰგზავნა.

შერიფ-ბეგი თავისის ცოლ-შვილით და დაახლოვებულის კაცებით, რომლებმაც ეს საიდუმლო დიდი ხანია იცოდნენ, სოფ. ქოჩახში დარჩა. კარგად იცოდა ხალხის სულის მოძრაობის კანონები; იცოდა, რომ ეს ცვლილება ამ მთის ხალხში დიდს არეულობას გამოიწვევდა იმისთვის, რომ რაიმე ხიფათი არ აეტეხათ, წასასვლელად მოემზადა. მთელი მისი ადვილად წასაღები და დასამალავი ნივთები თავისს ერთგულ კაცებს დაურიგა შესანახად. ესენიც გააფრთხილა, რომ მზათ ყოფილიყვნენ, თუ ვინიცობაა უკმაყოფილო ხალხი მტრობას გაუწევდა. დანარჩენი ალაფი ოჯახისა ერთს დიდს ორმოში ჩაფლო, რომელიც იმავ დაახლოვებულებმა იცოდნენ.

შერიფ-ბეგის მოლოდინი არ გაცრუებულა: ჯარისაგან მოკრეფილი რვა ათასი თოფი და მისი ტყვია-წამალი აღელვებულმა ხალხმა ქვედა აჭარაში დაიჭირა. დახსნეს, დაირიგეს და რვა ათასი კაცი თავისის ნებით შეიარაღებული და თავის მიერ არჩეული ახალის სარდლის მბრძანებლობის ქვეშ მყოფი მთელის აჭარის (ზედა და ქვედა) შუა ადგილას სოფ. ხიჭაურში დაბანაკდა. აქ დიდის თათბირის შემდეგ გარდასწყვიტეს: გაეწყვიტათ ჯერ ბეგის მოკავშირე კაცები და შემდეგ ბეგისთვისაც ეს დღე დაეყენებინათ. ამ გარდაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად მაშინვე შეუდგნენ. ერთი ამ გვარი კაცთაგანი შირინ-აღა დავითაძე იქვე ხიჭაურის მახლობლად სახლობდა. პირველად იმისის ჯავრის ამოყრას შეეცადა ხალხი. შემოადგნენ სახლს, მაგრამ შირინ აღა (დღეს ღრმა მოხუცებულია) ვაჟკაცურად დაუხვდა. იგი დიდად მდიდარი კაცი ყოფილა და დიდის ოჯახიც ჰქონებია. მისი სახლი ერთ მაღალ კლდეზედ არის გადმომდგარი, რომელსაც კაცი მხოლოდ ერთის მხრით მიუდგება. აი, ამ მხრიდან გაიმაგრა საფარი მხნე სახლის პატრონმა. ამ დროს სახლში ორი ცოლი, სამი მცირე წლოვანი შვილი და ერთიც სტუმრად მოსული სიძე ჰყავდა თურმე. დანარჩენი ოთხი დავაჟკაცებული შვილები სოფლებში იყვნენ და ამ ამბისა არა იცოდნენრა. შირინ-აღამ ცოლები და წვრილი შვილები, როგორც იყო, სახლიდან გაისტუმრა და თითონ სიძით მედგრად დაუხვდა ხალხს. საომრად თურმე კარგად ყოფილიყო მოწყობილი, ტყვია-წამალი და თოფები უთვალავი ჰქონდა, რომლის საშუალებითაც რამდენიმე კაცი იმსხვერპლა და ეს ურდო საღამო ხანს უკუ აქცია. ამავ დროს შვილებმაც უსწრეს და ამ რიგათ დამარცხებული ხალხი სოფ. ქოჩახში ბეგის სახლებისკენ გაექანა.

როდესაც აჯანყებულთ თავისის მოქმედების გეგმა ჯერ კიდევ სრუ-

*) იხ. „ივერია“. № 203.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სექტემბერს მატარებელი დაიმტვრა, ამის გამო დამსხვრეული ვაგონები და დაზიანებული რელსები სოლანლუღის გზის ასაქცევზედ აულაგებელი დარჩება მინისტრის მისვლამდე.

⁂ კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების კრებაზედ განხილულ იქმნა ის კითხვები, რომლებიც სასურველია წარუდგინოს ფარმაცევტთა კრებას მოსკოვში.

⁂ სატყეო დეპარტამენტი აპირებს ახალი გზები გაიყვანოს ხეტყის საზიდად, რათა სახაზინო ტყეების შემოსავალმა იმატოს.

⁂ რადგან ამიერ-კავკასიის სახაზინო ტყეებში ძლიერ მოსდებია ხეებს კანის ჭია, ამის გამო სატყეო დეპარტამენტს წინადადება მიუცია სახელმწიფო ქონებათა სამმართველოებისათვის, მხნე ღონის-ძიებანი იხმარეთ ამ ჭიასთან საბრძოლველადაო.

⁂ 21 სექტემბერს საგუბერნიო საკრებულოს ბჭობა ჰქონდა სავაჭრო-სამრეწველო გარდასახადის შესახებ.

⁂ ქალაქის გამგეობამ შეიმუშავა სავალდებულო დადგენილებანი ქალაქში სატრაქტირო დაწესებულებათა გახსნისა და შენახვის შესახებ.

⁂ ამ მოკლე ხანში მუშაობას დაიწყებს, კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწის გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზეს თავმჯდომარეობით, ის კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ამიერ-კავკასიაში ხარკის აკრეფის წესრიგის შეცვლა. განზრახვა აქვთ, რომ საკომლო გარდასახადი საადგილ-მამულო გარდასახადად შესცვალონ.

⁂ როგორც ისმის, დუშეთის მაზრის უფროსის თავმჯდომარეობით შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდო ღონისძიებათა გამოძებნა დუშეთის მაზრის დასახლებულ ადგილების მახლობლად მყოფ ჭაობების დასაშრობად.

⁂ სათანადო სამინისტროს 20,500 მან. გადაუდვია კიდევ იმ ფულის მისამატებლად, რომელიც გადადებულია შავი ზღვის პირის გუბერნიაში რუსთა დასასახლებლად.

⁂ 20 სექტემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საპელაციო წესით საქმე საბუ ქურდიანისა, ისაკ რაგონიანის, რეჯაბ-ოსმან-ოღლი ოკუსისა, იბრაჰიმ ბაგრატ ოღლისა და ოჳ. მელავორიანისა, რომელთაგან პირველ ოთხს ის ბრალი ედებოდათ, რომ მათ წინ-და-წინ ერთმანეთთან მოლაპარაკებით 1897 წლის 23 აგვისტოს ბათუმის ოლქის სოფ. მახინჯაურში მოჰკლეს 7 წლის ყმაწვილი ბერჩო ჩილინგარიანი; ხოლო უკანასკნელს, მელამორიანს, ისა, რომ თუმცა მკვლელობაში პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ მან დანარჩენები წააქეზა მკვლელობის ჩასადენად. ქუთაისის ოლქის სასამართლომ დამნაშავედა სცნო ქურდიანი და მიუსაჯა 8 წლით კატორგა და ყოველ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა.—დანარჩენნი ბრალდებულნი სასამართლომ გაამართლა.

სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ქუთაისის ოლქის სასამართლოს განაჩენი.

⁂ კავკასიის მუზეუმის კონსერვატორმა ბ-ნმა კენიგმა, რომელიც გაგზავნილი იყო სიღნაღის მაზრის სოფ. ტიმხელში იქ აღმოჩენილ მამონტის ძვლების დასათვალიერებლად, მართლაც ჰნახა ამ სოფელში რამდენისამე მამონტის ძვლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ძვლები მეტად გაფუჭებული აღმოჩნდა, ასე რომ მიწიდგან ამოთხრის დროსვე ფერფლად დაიშალა თურმე და მხოლოდ ზოგიერთი ძვლის ნამტვრევი გადარჩა მთელი. მამონტის ძვლებს კავკასიაში ეს მესამედ ჰპოულობენ.

⁂ ორშაბათს, 20 სექტემბერს, კინაღამ დაიმტვრა სააგარაკო მატარებელი, რომელიც ტფილისში მოდიოდა გორიდგან, სადგ. გრაკალის მახლობლად. ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ ლიანდაგზედ შპალები და ქვები დაელაგებინათ, როგორც ფიქრობენ, იმ აზრით, რომ დაემტვრიათ საფოსტო მატარებელი, რომელიც მოდის ამ ადგილზედ სააგარაკო მატარებლის გავლის ნახევარ საათის შემდეგ. მაგრამ მატარებელი დამტვრევას გადარჩა მემანქანეს მეოხებით, რომელმაც დროზედ შენიშნა საფრთხე და შეაჩერა მატარებელი. შეშინებული მგზავრები გამოსცვივდნენ ვაგონებიდგან, რაკი დარწმუნდნენ, რომ განსაცდელს ასცდენოდნენ მხოლოდ მემანქანის სიმარჯვის მეოხებით, მათ შეაგროვეს ურთიერთ შორის 56 მან. და გარდასცეს მას.

⁂ 20 სექტემბერს მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც დადგენილი იქმნა: 1) მხედველობაში იქმნას მიღებული გუბერნატორის ცნობა იმის შესახებ, რომ მთავარმართებელმა დაამტკიცა საბჭოს ის დადგენილება, რომლის ძალითაც ქალაქმა უნდა განაგრძოს მოქმედება ცხენის რკინის გზის წარმოების შესასყიდად იმ პირობით, რომ ეს წარმოება შესყიდვის შემდეგ დაუყონებლივ გარდაეცეს კონცესიონერს ქალაქისათვის სასარგებლო პირობებით. 2) არ იქმნას შეწყნარებული მასწავლებელ ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მას ადგილი დაეთმოს მოხუცებულ მასწავლებელ ქალთათვის თავშესაფარის გასამართავად; 3) არ იქმნას შეწყნარებული მე-2 საქალებო გიმნაზიის სამზრუნველო საბჭოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ამ გიმნაზიას ადგილი დაეთმოს კუკიაში საკუთარის შენობის ასაგებად; 4) დამტკიცებულ იქმნას გამგეობის დადგენილება იმის შესახებ, რომ ვერის ხიდი იჯარით მიეცეს ეგ. მამინაიშვილს; 5) მიენდოს გამგეობას საჯარო ვაჭრობის დარბაზის გახსნა და მიეცეს ამ საქმისათვის 800 მან.

⁂ 20 სექტემბერს მოხდა იმ კომისიის სხდომა, რომელიც დანიშნულ იქმნა ქალაქის წყლის მილების გაფართოების საქმის გარდასაწყვეტად. კომისიამ საჭიროდა სცნო მოიძებნოს ახალი წყაროები და გაყვანილ იქმნას ახალი წყლის მილები, რომელთაც შეეძლებათ საკმარისად მოაწოდონ ქალაქს სასმელი წყალი, მაგრამ რადგან ამისათვის ბევრი ფული იქმნება საჭირო და წყლის მილებს-კი 6 წელიწადზედ ადრე ვერ გაიყვანენ, ამის გამო კომისია შეუდგა არსებულ მილების გაფართოების საქმის გამოკვლევას. კომისიის გამოანგარიშებით ქალაქისათვის ყოველ დღე საჭიროა საშუალო რიცხვით 1,200,000 ვედრო წყალი და დღეს-კი ავჭალის წყაროების დაშრობის გამო ამ მილებს საშუალო რიცხვით მხოლოდ 200,000 ვედრო წყალი შეუძლიან მიაწოდოს ქალაქს დღე და ღამეში. ამ გვარად დანარჩენი 1,000,000 ვედრო წყალი მტკვრიდგან უნდა იქმნას გამოყვანილი. ამ მოსაზრებათა გამო კომისიამ საჭიროდა სცნო გამოყვანილ იქმნას მეორე მთავარი მილი ავჭალიდგან და გაკეთდეს ავჭალაში ფილტრები იმ სახით, რომ მათში 1,000,000 ვედრო წყლის გატარება შეიძლებოდეს დღე და ღამეში. საუკეთესო ფილტრებად კომისიამ სცნო ამერიკულ სისტემის ფილტრები, რომლებიც რუსეთში პირველად მოსკოვს იქმნა გამართული.

ყოველივე ამის გამო კომისიამ დაადგინა წინადადება მისცეს გამგეობას, რომ ამ საქმის გარდასაწყვეტად მოიწვიოს ინჟენერი ლინდლეი და მოსკოვის წყლის მილების მმართველი ზემანი და გაგზავნოს მოსკოვში ქალაქის ტეხნიკოსი ახლად გამართულ ამერიკულ ფილტრების დასათვალიერებლად.

⁂ „კავკ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ, რომ სრულიად რუსეთის რძის მეურნეობის გამოფენაზედ უმაღლესი ჯილდოები კავკასიის ყველებს დაენიშნათ.

⁂ გუშინ-წინ, 21 სექტემბერს, როგორც იმავე გაზეთს დეპეშით ატყობინებენ, ვაჭრობისა და მანუფაკტურის დეპარტამენტის დირექტორი ვ. ი. კავალევსკი კავკასიისაკენ უნდა წამოსულიყო.

⁂ მკითხველებს ეხსომებათ ინჟენერ-ტეხნოლოგის ნიკიტა კარაპეტოვის საქმე, რომელიც გაზ. „კავკასის“ დროებით რედაქტორსა და მისს კორესპონდენტს გტცუკს უჩიოდა, ცილი დამწამესო. ოლქის სასამართლომ ორივე ბრალდებული გაამართლა. გუშინ, 22 სექტემბერს, ინჟენერ კარაპეტოვის ვექილმა ბ-ნმა ალექსანდრე ყარაბეგოვმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა და ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილება სამოსამართლო პალატაში განასაჩივრა.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდ. აღმასრულებელმა წინადადება მისცა ბოქაულებს, ზედამხედველობა გააძლიერეთ, რათა შინაურ პირუტყვს უბრალო შეწუხება არ მიაყენონო; ამისთვის ჩააგონეთ თქვენს ხელქვეით მოხელეთ თვალყური ადევნონ, რომ ეტლები ნამეტნად არ იტვირთებოდეს, მეეტლეთ და სახედრების, კამეჩების და სხ. პატრონთ არამც-და-არამც შოლტის მაგივრად სახრე არ იხმარონ, რომელიც მათ უნდა წაერთვას, რომ პირუტყვი არ გააწვალონო.

⁂ სადგ. ნავთლუხი უფროსის მოადგილემ გაგრინსკის, ჯერ კიდევ 19 სექტემბერს ამოიღო ფულის ყუთიდგან 2 ათას მანეთამდე ხაზინის ფული და წამოვიდა ტფილისში. 20 სექტემბერს, ღამის 12 საათზედ, ის მთვრალი დაბრუნდა სადგურზედ და მოითხოვა, მიმეცით ყუთში შენახული ფულიო (3 ათას მანეთზედ მეტი), მაგრამ ამაზედ მას, რასაკვირველია, უარი უთხრეს. ამის შემდეგ გაგრინსკი წავიდა სადგურიდგან, სადაც მხოლოდ 5-ოდე წუთს დაჰყო, და სადღაც დაიკარგა. განკარგულება მოხდა, რომ საქმე გამოიძიონ და მოსძებნონ გაგრინსკი. („ტფ. ფ.“)

⁂ განზრახვა აქვთ, სოფელი ალბულაღი გზატკეცილით შეაერთონ ქ. ტფილისთან. ამ დღეებში კავკასიის მთავარმართებელმა დაათვალიერა ის ადგილი, საიდგანაც გზატკეცილი უნდა იქმნას გამოყვანილი. ერთის პროექტით გზა გამოივლის სოფ. ტაბახმელაზედ, მეორეთი-კი—ს. კოჯაზედ.

⁂ სოფ. ჭაგანიდგან (ქუთ. მაზ.) „ახ. მიმ.“-ს სწერენ, რომ იქ, ხან-

---

ლიად შემუშავებული არა ჰქონდათ და სოფ. ხიჭაურში დაბანაკებული ამა თუ იმ ლაპარაკსა და საზრისში იყვნენ, შერიფ-ბეგმა გამოგზავნა იმათთან ერთი გამოცდილი და სანდო კაცი—უსუფ-ეფენდი ბერიძე. აჯანყებულნი, როცა ბერიძე დაინახეს, მისცვივდნენ, იცოდნენ, რომ ბეგის კაცი იყო, და ის ის იყო უნდა მოეკლათ, მაგრამ ბერიძის ბედად იმათ შორის მისი დახლოვებული ნათესავი აღმოჩნდა, რომელმაც, ვითომც მისმა დაუძინებელმა მტერმა, იკისრა ბერიძის მოკვლა ძველის ჯავრის ამოსაყრელად. აჯანყებულთაც ეს ბერიძე სასიკვდილოდ იმისს ვითომ-და მტერს მიაჩემეს, რომელმაც ბაწრით შეკრული უსუფ ეფენდი ტყეში წაიყვანა, გაისროლა თოფი და ბერიძე განათავისუფლა, სიკვდილს გადაარჩინა. სიკვდილს გადარჩენილმა ბერიძემ ქოჩახს მიაშურა და ბეგს აუწყა, რაც მოელოდა იმასა და იმისს ოჯახობას, უკეთუ დროზედ არ უშველიდა თავს. აჭარაში ჯერ კიდევ არ ჩასულიყო რუსი. ამ დროს შერიფ-ბეგმა თავისი ახალგაზდა შვილი ჯამალ-ბეგი საჩქაროდ აფრინა ახალციხეში, რომლის პირითაც სთხოვდა რუსის ჯარის სარდლებს მალე მიჰშველებოდნენ. სარდალმა კამაროვმა ახალ გაზდა ჯამალი დიდის პატივით მიიღო და მასთან ერთად სოფ. ქოჩახში ექვსის ათასის ჯარის-კაცით გამოეჩქარა.

ეს მოხდა ზამთარში. ამ დროს ახალციხიდგან ქოჩახში მისვლა თოვლის მიზეზით დიდად გასაჭირი იყო, მაგრამ მაინც ჩქარა მიაღწიეს ქოჩახს და იმავ დღეს ბეგის ოჯახობა საჩქაროდ გაგზავნეს ახალ ციხეში. თვითონ რუსის ჯარი ქოჩახში დაბანაკდა. მეორე დილას მთელი ურდო აჯანყებულთა მოადგა ქოჩახს, სიმაგრეები დაიჭირა და რუსის მთავარ-სარდალს შეუთვალა: „ხომ ხედავთ, მოხერხებული ადგილი ჩვენ გვიჭირავს, სიმრავლითაც თქვენზედ მეტნი ვართ და ან უკან გაბრუნდით, ან შეგებმით და ამბის წამღებს არ გაგიშვებთო“. კამაროვმა, როგორც გამოცდილმა ადამიანმა, შეუთვალა: „დღეს ამას ყოველივეს მოვიფიქრებ და ხვალ შემოგითვლით პასუხსაო“, იმათ ეს პასუხი რაღაც გაუგებარ პასუხად მიიღეს და გადაწყვიტეს, მეორე დილას დასცემოდენ რუსის ჯარს, კამაროვმა-კი ამათ ხერხით აჯობა. დაღამდა თუ არა, მთელის ჯარით აიბარგა და გათენებისას სამშვიდობოს იყვნენ გასულნი. გათენებისას აჭარლები ყოველის მხრივ შემოესივნენ, მაგრამ იქ მხოლოდ ნადგომი ადგილი ჰპოვეს. ამით გაბრაზებული ურდო ეხლა ბეგის სახლ-კარს მიადგა და გადასწვეს იქაურობა. ცუდი დღე დაადგა უკვე ხიჭაურში გადარჩენილ უსუფ-ეფენდი ბერიძის სახლ-კარს (ბერიძე ცოცხლად არ ეგულვებოდათ). ხალხი აქედგან ს. ხულას გამოვიდა, საიდანაც რუსის მთავრობის მიერ დადგენილ უფროსს თავისის თავისათვის ეშველნა, დარჩენილიყო მხოლოდ რამდენიმე როტა ჯარის კაცი, რომელიც ის-ის იყო ჩამოსულიყო.

აჯანყებულთ თავისი მმართველობა დააწესეს: გამოაცხადეს ნიხრი ხორაგეულისა და სავაჭრო საქონლისა: ალაბი ჩითი—5 კაპ., რუსის მანეთიანი—20 კაპ. გარდასწყვიტეს: რადგანაც რუსი ისე გამწვავებულა, რომ ბათუმს აღარ ეშვება, წასულიყვნენ და ბათუმის დასავლეთის მხრივ ჩამომდინარე პატარა ღელე ანკისაზედ დაესვათ ქვის მიჯნა, რომ იმ ღელეს აღარ გადმოაბიჯოს ჯარმა. ამავე დროს ერთს საკვირველ ზნეს იჩენდნენ თურმე: ხულაში მდგომ რუსის ჯარს დიდის პატივით ეპყრობოდნენ; ამათ ყოველ წასვლა-მისვლის დროს დარაჯს ატანდნენ, რომ იმათთვის ვნება არავის არ მიეყენებინა. ამ რიგად ჰღელავდა ხალხი და ვერავის გაებედა დამშვიდების შესახებ ამოეღო ხმა.

განვლო დრომ და ხალხიც, რა კი თან და თან ხმა მოდიოდა, რომ ბათუმი უკვე რუსმა დაიჭირა და ოსმალეთს არაფერი აღარ დარჩება იქაო, დამშვიდდა. ამავე დროს ოსმალეთიდგან მოვიდა სულთანის გამოგზავნილი კაცი, რომელმაც საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ეს ქვეყანა რუსეთს დარჩა და მცხოვრებთაგანს კი ვისაც ჰსურს, ოსმალეთის მთავრობა მზად არის სამის წლის განმავლობაში უსასყიდლოდ გადაიყვანოს ოსმალეთში და მიწა წყალი დაურიგოსო. ბევრმა თანხმობა გამოაცხადა და თითქმის ნახევარი გადასახლდა ოსმალეთში, სადაც დაპირებული ადგილ-მამული მიეცათ. შერიფ ბეგიც მშვიდობიანად ჩამოუძღვა რუსის ჯარს აჭარაში და ბათუმამდის მოაცილა, შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა, საიდგანაც გენერლის ხარისხითა და დიდის საჩუქრებით დაბრუნდა. რამდენისამე ხნის შემდეგ კვლავ აბრუნდა პეტრეს ქალაქში და ამ ხანად კი მართლ-მადიდებელ ქრისტიანედ დაბრუნდა. ამ სარწმუნოებაშიაც დალია დღენი ქ. პეტერბურგს, საიდგანაც მისი გვამი ჩამოასვენეს და ს. ქოჩახში დაჰკრძალეს.

დასასრულ შევეხებით მოკლედ აჭარელთა ზნე-ჩვეულებასაც.

ა. მგელაძე

(დასასრული იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძლივის გვალვისა და ძლიერის ქარების გამო, სიმინდის მოსავალი მეტად უხეირო იყო.

** ქუთაისის გუბერნიის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში სიმინდი იმდენად გაფუჭდა გვალვისაგან, რომ ზოგან ჩალად გაიჩეხა. რაჭისა, ლეჩხუმისა და შორაპნის მაზრებში სიმინდი მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს გაზაფხულამდეც-კი არ ეყოფა თავის სარჩენად. გუბერნიის დასავლეთ ნაწილში და შავი ზღვის პირზედ, სადაც ძლიერი გვალვა არა ყოფილა, კარგი მოსავალია სიმინდისა, ზემო-აჭარისა და ართვინის ოლქის გარდა. ნაადრევი ღომი კარგად მოვიდა. ბალახის მოსავალიც უხეიროა. გუბერნიაში საზოგადოდ პირუტყვის საკვები წელს ნაკლებად იქნება. ყურძნის მოსავალი საშუალოა, მაგრამ სამაგიეროდ კარგის თვისებისას მოელიან, განსაკუთრებით-კი ნაწამლ ვენახებში. დასავლეთ მაზრებში „ადესის“ ყურძენი კარგად მოვიდა, თუმცა ნაცარი და ობი შესამჩნევად იყო გავრცელებული. („კავკ.“).

** რადგან სოფ. გომბორში ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ქურდობა და ცეცხლის წაკიდება, ამის გამო ტფილისის მაზრის უფროსის განკარგულებით დანიშნულ იქმნა სადარაჯოდ 5 ჩაფარი და ერთი ურიადნიკი.

** რედაქციამ მიიღო: „კოკორი ანუ ანბანი და პირველ-საკითხავი წიგნი სახლობაში სახმარებელი“, შედგენილი ი. გოგებაშვილის მიერ, მეთორმეტე გამოცემა. ეს გამოცემა უცვლელად არის გადმობეჭდილი წინა გამოცემათაგან.

** მთაწმინდაში, „წყაროს უბანში“, შემდეგი უცნაური ამბავი მოხდა ამ დღეებში. ამ უბანში სცხოვრობს სამხედრო სამსახურში ნამყოფი ვიღაც ა. დ—ყიანი. ამ რამდენიმე თვის წინად დ—ნი ცოლსა და შვილს გამოეთხოვა და წავიდა ვითომც დროებით სადღაც რკინის გზაზედ სამსახურში შესასვლელად. რამოდენიმე ხნის შემდეგ დ—ნი დაბრუნდა ცოლ-შვილში და თან, როგორც ამბობდნენ, ფულიც ბლომად მოეტანა. რომელიც ცოლისათვის მიებარებინა. ამის შემდეგ ბ-ნი დ—ნი ხელმეორედ დაბრუნდა ვითომდა ისევ სამსახურში, მაგრამ ნამდვილად კი წასულიყო სად. მიხაილოვში, სადაც რაღაც მანქანებით მეორე ცოლის შერთვა მოეხერხებინა. როცა რამდენიმე ხნის შემდეგ დ—ნი მეორედ დაბრუნდა ტფილისში, პირველ ცოლთან მივიდა და ფულები სთხოვა; ხოლო ფულის მიღების შემდეგ ისევ წავიდა შინიდგან. საღამოზედ დ—ნის ცოლი ლოცვაზედ იყო კალოუბნის ეკკლესიაში, სადაც შემთხვევით ჰნახა ქმარი, რომელმაც რაღაც მიზეზები უთხრა მას სამსახურში წაუსვლელობისა. ცოტა ხნის შემდეგ ცოლმა თვალი მოატანა, რომ მისი ქმარი ვიღაც ჩერქეზულად გამოწყობილ უცხო კაცთან ერთად ეტლში ჩაჯდა და წავიდა. ცოლმა გამოიკითხა უცხო კაცის ვინაობა და უთხრეს, ეს კაცი შენის ქმრის ახალის ცოლის ძმა არისო, ქალი რასაკვირველია, გაოცებულა. შეიტყო ქმრის ადრესი და მეორე დღეს სად. მიხაილოვში მიადგა კარზედ ქმარს, რომელიც ამ დროს თავისს ახალ ცოლთან ერთად სტუმრებში ქეიფობდა. პირველმა ცოლმა შეატყობინა ეს გარემოება პოლიციას, რომელმაც კიდეც შეიპყრა ჩვენი ორცოლიანი ვაჟბატონი.

** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდ. აღმასრულებელმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რომ იმ ქუჩებზედ, სადაც გზის შეკეთება სწარმოებს, შესაკეთებელ ადგილის ორსავე მხარეზედ საღამოდგან გათენებამდე ფარნები იქმნას ანთებული.

** 20 სექტემბერს, საღამოს, 7 საათსა და 20 წუთზედ, ტფილისის რკინის გზის სადგურზედ მატარებელმა გადაუარა ქუთაისის გუბერნიის სოფ. დიდი ჯიხაიშის მცხოვრებს ანტ. ვაშაკიძეს (46 წლისას) და ბორბლებით შუაზედ გადასჭრა.

** 19 სექტემბერს, საღამოს 9 საათზედ, პოლიციელმა იაგანაშვილმა შეიპყრო ტფილისის მცხოვრები ნიკ. ბიბილაშვილი, რომელსაც 20 მანეთის ნივთები მოეპარა. ბიბილაშვილმა აღიარა, ნივთები ტფილისის რკინის გზის სადგურზედ მოვიპარეო.

** დაიბეჭდა და მალე გასასყიდად გამოვა იოსებ იმედაშვილის მიერ გამოცემული ახალი წიგნი „ცხოვრების სარკე“ (პიესების კრებული), რომელშიაც მოთავსებულია: „უნდა გავიყარნეთ“, კომ. 3 მოქ. თარგ. ვ. აბაშიძისა; „ადვოკატი მელაძე“, კომ. 2 მოქ. თარგ. ივ. მაჩაბლისა; „ცოლქმრობის წინააღმდეგი“, ვოდ. 1 მოქ. თარგ. დ. აწყურელისა, „დედაკაცის ცნობის-მოყვარეობა“ (ადამ და ევა) კომ. 2 მოქ. თარგ. დ. მესხისა; „დატრიალდა ჯარა“, კომ. 1 მოქ. თარგ. კ. ყიფიანისა; სასცენო ლექსები, სასიმღერო, კუპლეტები და „რა მასმევს ღვინოს“ (სცენა) ა. ახნაზაროვისა; „თეატრი და ქართული სცენის მსახიობ-მოღვაწენი (პირველი წერილი) და სხ. წიგნში ჩართულია სურათები: ვ. აბაშიძისა, ბ. ავალიშვილისა, ვლ. ალექსი-მესხიშვილისა, კ. მესხისა, კ. ყიფიანისა, მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა და ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა (მათის მოღვაწეობის აღწერით) და სხ.

წიგნი გასასყიდად გამოვა ქართულ თეატრის 20 წლის იუბილეის გამართვის წინადღით. წიგნი შეიცავს 240 გვ., დიდის ზომისაა და ჰღირს 60 კაპ.

## წერილი ლეჩხუმიდგან.

ბევრი რამ აკლია ლეჩხუმს, მაგრამ ყურის მგდებელი და გულშემატკივარი-კი ძლიერ ცოტა ჰყავს. დავიწყოთ იქიდგან, რომ აგერ ხუთი წელიწადია, მდინარე რიონზედ ხიდები არ არის დერჩისა და ორხვაში, რომლებიც მუდამ ყოფილან ადრე. ამ ხიდების უქონლობამ დიდს გაჭირვებაში ჩააგდო ხალხი. დერჩის საზოგადოებაში მოჰყავთ მშვენიერი ღვინო, რომელიც უხიდობისა გამო ვერ გააქვთ გასასყიდლად და ამით, რაღა თქმა უნდა, ხალხი შევიწროებულია. ამავე საზოგადოებაში არის ალიბასტრის მადანი, რომელიც იზიდებოდა ქუთაისში, მაგრამ უხიდობის გამო ამისი ზიდვა-გაყიდვაც შეჩერებულია. გზა-ტკეცილი, რომელიც გაიყვანეს ამ ორის წლის წინად დ. ცაგერამდის და რომელზედაც დაიხარჯა ორმოცი ათას მანეთზედ მეტი, უსარგებლო იყო ხალხისათვის, რადგან შეუძლებელი იყო მაზედ მისვლა და რომ ახალს გუბერნატორს ბ-ნ გერშელმანს არ მიექცია ყურადღება და არ ებრძანებინა მისი შეკეთება და სამერმისოდაც მუდამ ყურის გდება, უგზოობით ნამეტანი შეწუხებული იყო მთელი მაზრა, რომელსაც მუდამ მსვლელობა აქვს ცაგერში, სადაც მოთავსებულია ყველა სამაზრო დაწესებულება. ეხლა მურის ხიდიც წამხდარი და საშიშარი აღმოჩნდა მსვლელობისათვის, და არ ვიცით, როდის შეუდგებიან მის გაკეთებას.

ეხლა ცაგერში იარმუკობაა გამართული, რომელიც გაიხსნა 14 სექტემბერს და გათავდება 27-ს. ამ იარმუკობაში უმეტეს ნაწილად ისყიდება შინაური პირუტყვი—ხარი, ძროხა, ცხენი და სხვა. გლეხს თუ ხარის ყიდვა ანუ გაყიდვა უნდა, უთუოდ იქ მივა. საქონელი ჩამოჰყავთ სვანეთიდგან და უფრო-კი ყარაჩიდგან. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ლეჩხუმის მაზრის ზოგიერთს სოფელში საქონლის ჭირი მძვინვარებს და იარმუკობის წყალობით იგი ადვილად გავრცელდება სხვა კუთხეებშიაც. საკვირველი ის არის, რომ ზოგიერთ სოფლებში ბეითალი მიიწვიეს ჭირიან საქონლის გასასინჯად, მაგრამ მ. ნ. განაცხადა, რომ ეს არ არის ჭირიო, ეს უთუოდ ბალახის ნაწყენი არისო. ბ-ნი ბეითალი შესცდა, ჭირი არის და კიდევაც ვრცელდება, და თუ ზომები არ იქმნა მიღებული მის წინააღმდეგ, დიდი ზარალი მიეცემა ხალხს.

იარმუკობისათვის ცაგერში შენდებოდა ადგილობრივის მცხოვრებლების მიერ კარვები. თითო კარავს თითო ოთხკუთხი საჟენი ჰქონდა დაჭერილი, რისთვისაც ახდევინებდნენ ვაჭრებს ორ მანეთამდის ქირას. ეს ოთხი წელიწადია, რაც აქაურმა მემამულემ ბ. ა. მდივანმა გააკეთა ორ პირად ქვის კედელი კარვებისათვის და გადახურა ყავრით. თითო კარავს დაადო ქირა ხუთი მანეთი. წლეულს-კი აიყვანა რვა მანეთზედ. გარდა ამისა ბ-ნმა მდივანმა არავის არ მისცა ნება, რომ ვაჭრებს აქირაოს ფიცრები, რომლებიც საჭიროა საქონლის დასაწყობათ ან დაზგათ. ფიცრებსაც მე მოგცემთო, მაგრამ ეს თითო ღერ ფიცარში, რომელიც ფასად რომ იყიდოთ, ეღირება არა უმეტეს ორი აბაზისა, ქირას ახდევინებს 50—75 კაპ. ამას მოუმატეთ სადარაჯო და სხვა ხარჯები, გამოვა, რომ ვაჭარმა, რომელიც ცაგერის იარმუკობაზედ შედის სავაჭროთ, ხუთი-ექვსი თუმანი ხარჯი უნდა გაიღოს. აქ რომ რიგიანი წეს-წყობილება იყოს და არა ძარცვა-გლეჯა, ეს ხარჯი შეიძლებოდა შემცირებულიყო ერთს თუმნამდის. მაშინ მოგებული დარჩებოდა არა მარტო ვაჭარი, არამედ ხალხიც, რომელიც უფრო იაფად იყიდდა საქონელს. მთელი სვანეთი და უმეტესი ნაწილი ლეჩხუმისა ცაგერის იარმუკაში ჰყიდულობს წლიურს საჭირო ნითვს, როგორც, მაგალითად, ტანსაცმელსა ისე სხვა ავეჯეულობას და ამისათვის არ იქმნება ურიგო მიექცეს ყურადღება კერძო კაცების თვით-მნებულობას იარმუკობის დროს. ადრე საეკკლესიო ადგილას იმართებოდა კარვები და ძრიელ მოხერხებულიც იყო ის ადგილი. მაშინ ხალხიც უფრო სარგებლობდა და ვაჭრებიც არ იყვნენ შევიწროებულნი. ვითომ რა უშავს, რომ შემდეგშიაც იქვე გაიმართოს ბაზრობა?

ჭირნახულის მოსავალი ლეჩხუმს წელს წინა წლებზედ ნაკლები აქვს, მაგრამ სარჩო მაინც მოვა. გვალვამ ნამეტნავად დააზარალა ყანები.

აქ გავრცელებულია სხვა და სხვა ავადმყოფობა; ნამეტნავად გავრცელებული იყო და ბევრიც იმსხვერპლა ყელ-ჭირვებამ და ყვავილმა. დიდი შრომა გასწია ექიმმა ლორთქიფანიძემ: მისის განკარგულებით რამოდენიმე ათას სულს აუცრეს ყვავილი, მაგრამ კიდევ ბევრია დარჩენილი. ბევრი დაიხოცა ლაილაშში—თითქმის სულ ურიები. აცრილი ვისაც ჰქონდა, არავინ მომკვდარა; ამიტომ თუ აქამდის უფრთხოდნენ აცრას, ურიები მაინც სულ არ აცრევინებდენ, ეხლა ყველა იხვეწება ამიცრეთო. სისუფთავეს ნაკლები ყურადღება აქვს ლაილაშში მიქცეული.

X

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** გაზეთების სიტყვით, სამინისტროს წევრთა შორის ვითომ უთანხმოება ჩამოვარდნილიყოს, რომელიც ერთ-ერთი მინისტრის სამსახურიდგან გადადგომას გამოიწვევსო. ამის მიზეზად ასახელებენ კაბინეტის წევრებად ყოფნას ისეთ ერთმანეთის მოწინააღმდეგე კაცებისა, როგორიც არიან გენერალი გალიფე და სოციალისტი მილიერანი, დრეიფუსის საქმეს უფრო გაუმწვავებია ეს უთანხმოება, ასე რომ ამ ორ კაცს აღარ შეუძლიან თურმე ერთად სამსახური და ამის გამო ან ერთი უნდა გადადგეს თანამდებობიდგან და ან მეორე. ვალდეკ-რუსო დიდს ფიქრში ყოფილა და აღარ იცის—რომელი მათგანი გასწიროს: გალიფე თუ მილიერანი. აგრეთვე დიდი უთანხმოება გამოუწვევია მინისტრთა შორის იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ ცარიელ ადგილზედ მხედრობაში ახალი კაცები უნდა დაენიშნათ: როგორც ამბობენ, გალიფეს სდომებია ხელ-ახლა იმ გენერლების მიწვევა, რომელნიც დრეიფუსის საქმეში იყვნენ გარეული და რამდენიმედ ნდობა დაჰკარგეს საზოგადოების თვალში, მაგრამ დანარჩენი მინისტრები მისი წინააღმდეგნი გამხდარან და სამხედრო მინისტრის წინადადება შეუწყნარებელი დარჩენილა. გენერალ დელანის დანიშვნის წინააღმდეგი მთავარ შტაბის უფროსად არავინ არ ყოფილა სამინისტროში. დელანი სულ 52 წლის კაცია, და გენერლობა მიიღო ამ ორი წლის წინად. 1870 წ., პრუსიასთან ომის დროს, ის ახალგაზდა კაპიტანი იყო და კარგის მამაცობისთვის საპატიო ლეგიონის ორდენის ჯვარი მიიღო.

— მინისტრთა საბჭოში ლაპარაკი ჩამოვარდნილა იმის შესახებ, რომ პანამის საქმეში ცნობილს დამნაშავეს—არტონს სასჯელი მივუტევოთო. ეს წინადადება შეუტანია მინისტრ პრეზიდენტს ვალდეკ-რუსოს, რომლისთვისაც მხარი დაუჭერია იუსტიციის მინისტრს მონისს და სხვებსაც. მაგრამ რესპუბლიკის პრეზიდენტი ლუბე არ დასთანხმებია მინისტრებს: პასუხის მგებლობას ვერ ვკისრებ ამ საქმეშიო,—განუცხადებია. ბევრი დარწმუნებულია, რომ შემდეგ ისიც თანხმა გაუხდება მინისტრებსო, რადგან გაზეთებიც-კი თხოულობენ არტონისათვის სასჯელის მიტევებას, რომლის ქალი რედაქციებს მოსვენებას არ აძლევს ხმა ამოიღონ მისი მამის სასარგებლოდაო.

**სერბია.** 14 სექტემბერს პაშიჩი ნიშში წავიდა და მას თან ახლდა შინაგან საქმეთა მინისტრი გენჩიჩი. რადიკალთა დასის მეთაურად ნამყოფის მოგზაურობა მოხდა ალექსანდრე მეფის სურვილით. როგორც გაზეთები იუწყებიან, პაშიჩისათვის უთხოვია მეფეს,—დაიყოლიე რადიკალები, რომ დროებით მაინც შესწყვიტონ მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებაო. ვითომც ამის სამაგიეროდ შეჰპირებოდეს მეფე, რომ ყველა დამნაშავედ ცნობილ რადიკალებს სასჯელს მივუტევებო.

**ფილიპინები.** ცოტაოდენ გამარჯვების შემდეგ ფილიპინებზედ, ამერიკელებს ისევ უმუხთლა ბედმა. როგორც იუწყებიან, 13 სექტემბერს მანილის ნავთსადგურის მახლობლად მეამბოხეთ დაუჭერიათ ამერიკელების გემი „ურბანეტა“; გამოუზიდნიათ, რაც რამ მეირფასი ნივთები და იარაღი ყოფილა შიგ, და შემდეგ გემისათვის ცეცხლი წაუკიდნიათ და დაუწვავთ. გემზედ ყოფილა ერთი აფიცერი და ცხრა მატროსი, რომელნიც არსად არა სჩანან. ჰფიქრობენ, რომ ისინი ან დაჰხოცეს და ანუ ტყვედ წაიყვანეს მეამბოხეებმაო. ეს მეორე გემია ამერიკელებისა, რომელიც ტყვედ ჩაუვარდათ ხელში ფილიპინელებს; პირველი იყო სავაჭრო, ეს უკანასკნელი-კი სამხედრო, რაიცა ჰმოწმობს, რომ მეამბოხეების ძალას თუ არ მოჰმატებია, არა მოჰკლებია-რა. ცხადია, აგვინალდოს უკანასკნელი სამშვიდობო წინადადება ხერხი იყო მისი მხრით და სხვა არაფერი.

იმავე დღეებში ამერიკელების რაზმი, რომელიც 3000 კაცისაგან შესდგებოდა, სან-ფერნანდოს მიდამოებში ფილიპინელებს შეჰყრია, რომლებსაც ჯვართოფები დაუშენიათ მათთვის და შემდეგ ტყეში გაჰქცეულან. ამერიკელებით უკან გამოსდგომიან, მაგრამ სრულებით ვერა გაუწყვიათ-რა, რადგან მათი ცხენები და ზარბაზნები მიწაში ჩაფლულან. მთელი დღე თოფ-ზარბაზნების სროლა არ შეწყვეტილა, მაგრამ ამერიკის ჯარს რა უნდა ექნა, როცა ცხენები და ზარბაზნები ვერ იძრვოდნენ, მაშინ როდესაც ფეხ-შიშველი ფილიპინელები მარდათ დახტოდნენ ერთი ადგილიდგან მეორემდის.

ამერიკელების პოლიტიკაც გამოუსადეგარი დარჩა ფილიპინებზედ. ოტისმა ბევრი სახელმწიფო მოიმდურა იმით, რომ ნავთ-სადგურებში შესვლის ნება აღუკრძალა უცხო ქვეყნების გემებს. მაგრამ ეს განკარგულება კიდევაც რომ გაეუქმოს, მაშინაც ბევრი არა შეეძინებათ-რა შეერთებულს შტატებს: უცხო სახელმწიფოთა გემები დაუბრკოლებლად მიაწოდებენ ფილიპინელებს ყოველ-გვარ სამხედრო იარაღს, და ეს ხომ ყველაფერზედ უარესი იქნება ამერიკელებისათვის. ამავე დროს აგვინალდო აცხადებს, რომ ყველა ნავთსადგური, რომლებიც მეამბოხეთა ხელშია, ღია არის უცხო სახელმწიფოთა გემებისათვის, ამერიკის გარდაო. ეს გარემოება საშუალებას აძლევს ფილიპინელებს აღებმიცემობა არ შესწყვიტონ და თანდათან შეავსონ თავიანთი სამხედრო კასსა.

რაც შეეხება მანილის მცხოვრებთ, ბევრი მათგანი მეამბოხეთ უფრო თანაუგრძნობს, ვიდრე ამერიკელებს. ამის გამო მთავრობა იძულებული გახდა პოლიცია გაეძლიერებინა. ქალაქის მიდამოებში იპოვნეს შენახული იარაღები. ამას წინად ერთი გემი დაიჭირეს ამერიკელებმა, რომელიც მდინარით ქალაქისკენ მისცურავდა. გემზედ ამერიკის ბაირაღი იყო და შიგ სამხედრო იარაღი აღმოჩნდა.

გენერალი ოტისი თან და თან ჰკარგავს გავლენასა და პატივისცემას არა მარტო ფილიპინელების არხიპელაგზედ, არამედ ამერიკაშიაც. განსაკუთრებით დაჰკარგა გენერალმა ნდობა მას შემდეგ,

რაც უკმაყოფილება მოუვიდა ადმირალ დიუისთან. ოტისს უნდოდა, რომ დიუის თავისს ფლოტში შეერიცხა ესპანელების მველი გემები. დიუი უარზედ იდგა და ბოლოს განაცხადა, რომ, ჩემი სურვილის წინააღმდეგ თუ ხსენებული გემები ამერიკის ფლოტში იქმნა ჩარიცხული, იმათ ყველას ზღვაში დავღუპავო. ქვეყნის ისეთ საყვარელ კაცთან შეტაკებამ, როგორიც ადმირალი დიუია, სრულებით გაუტეხა ვაშინგტონში სახელი გენერალს ოტისს.

---

## დამაკვირდი

ქალებს ესიამოვნებათ, როდესაც გააკიცხვებენ მარტო ახალგაზდებს-კი არა, არამედ მოხუცებსაც.

გიუი დე-მოპასანი

* * *

მიცვალებულთ რომ ლაპარაკი შეეძლოთ, იმათზედ კარგს აღარავინ არას იტყოდა.

კარმენ სილვა.

* * *

კარდობისთვე კარგი თვეა, გარნა ზოგჯერ კარდს აზრობს.

ლასურიძე

---

## „ბატონ-ყვავილები“.

— დარო, რა ქნა, ქალო, ამ საცოდავ ბავშვისათვის საცვლები შინდა შეკერო და არ ვიცი, მიუაბულებენ თუ არა ბატონები? ამ ცოდვის შვილს აგერ სამი კვირაა, ტანზედ აღპება საცვლები და ბატონების შიშით ვერ შემიკერნია, — ეუბნებოდა დაროს სალომე, რომელსაც ხელში თავისი დაობლებული მმის-წული ეჭირა.

— უიჰ ქა, დამიდგეს თვალები, რა სათქმელია, — უპასუხა დარომ: ხუმრობა არ არის, ხელი არ გაანძრიო, არა გააკეთო-რა, თორემ ანგელოზები ავადმყოფობას გაამძნელებენ და საქმე ავად წავა. რომელ საცვლებშიაც მოასწრებენ ბატონები ადამიანს, იმ საცვლებითვე უნდა გაისტუმრონ სახლიდგან; იმ დღეს დავიქვიაახთ ბაბალემ ლოგინი გამოუცვალა ი თავის უბედურ გოგოსა და ლოგინის გამოცვლა და გოგოს სიკვდილი ზედი-ზედ იყო; ახლა, აგანა არ მოგეხსენება, — დაუდაბლა ხმას დარომ, — ჩვენო ქალო! ამობენ, რომ ვისაც ოჯახში ყვავილი არ უდგია, იმ ოჯახში შეიძლება შეკერიონ ავადმყოფისთვის საცვალიო, მაგრამ მაინც ზიფრთხილეს თავი არა სტკავა, სჯობიან, რომ მოსვენებითა გუავდეს ავადმყოფი; ვენაცვალე მაგათ მადლსა და სახელსა, მაგათ ახალი საცვლები და რაღაც-რუღაცეები არ ესიამოვნებათ.

— გაძმე, გაძმე! შენ როგორ ეხუმრები მაგათა, უთხრა სალომეს ახალბედაანთ კარგუამ; აბა მე ხომაა უხნავუთესი მარტოხელი კაცი ვარ და თუ კალოობაზედ მოჯამაგირეობით არ ვიშოვე შირნახული, ზამთარში არა მექნება-რა და აი ემ ჩემი ბავშვების ავადმყოფობის გამო წრეულ კალოობაზედ ხელი არ გამიძრავს.

— ღმერთი მოწყალეა, მადლობა ღმერთსა! აგი შენი ერთგულობისათვის ი ბატონებმაც არა დაგაკლეს-რა და არა გავნეს რა, — უთხრა ბებრულის გემოთი სოფიომ კარგუას...

ასე ლაპარაკობდნენ დიაკვნიაანთ ჯიხურთან სოფლის დედაკაცები და კაცები, რომელთა მომეტებულ ნაწილს ყვავილით ავადმყოფი ბავშვები ეჭირათ ხელში.

ამ დროს ჯიხურთან მობრძანდა მ. დეკანოზი, რომელსაც ყვავილით მიცვალილი ბავშვი დაემარხა და ახლა შინისკენ მიბრძანდებოდა... დეკანოზი ჯიხურთან შედგა და დაუწყო ხალხს დარიგება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუარონ ავადმყოფებს, რა სუფთად და ფაქიზად უნდა ინახავდნენ ავადმყოფის ლოგინს, საცვალსა და სახლს...

— ეჰ! შენ-კი დაგლოცა ღმერთმა, შე დალოცვილო, ამითანა ბატონები, როგორიც ეხლა არიან, თავის დღეში არსად ყოფილან; ეგ დალოცვილები, მოიხადა ქუდი ხოდლიაანთ ალემ; სულ ხელს არ ანძრევინებენ ადამიანს. იმ დღეს, აი, ბუღიას ცოლი ხომ მოგეხსენებათ, — ლვდელო: სალი-სალამითა გახდა იმისი ბავშვი, რაღაი იხადა ყვავილები, სულ ერთიანად განთავისუფლდა. მერე ი საცოდავ დედაკაცს ბიჭისთვის პერანგის საყელოზე ღილი დაეკერებინა და ი ნევსის ხმარება და ი ბავშვის მეორედ შექცევა ერთი იყო... მერე გუშინ წინ არ დამარხევით თქვენა, ლვდელო, და მოხარშულ თევზის მსგავს თვალებით დიდის გაოცებით მიაშტერდა მღვდელს, თითქოს ეუბნებოდა: ეს ასეა, შე დალოცვილო, და აბა რაღას გვარიგებო...

— არა, ძალიან ფიცხი ანგელოზები გახლდნენ, ლვდელო, — დაიწყეს დედაკაცებმა...

— ადამიანო! ანგელოზები-კი არა, მგენი ეშმაკები არიან, რომ ბავშვებს ეგრე ასახიჩრებენო, ჰზრძანა გაჯავრებით მღვდელმა... მაგრამ ეჰ! თქვენ გელაპარაკოთ კაცი — არ გელაპარაკოთ, სულ ერთია, კი არა გეყურებათ-რა-და, რა გამოვიდა. ან რაო, განაგრძო მღვდელმა და მიუბრუნდა მედავითნეს: მიყრუებული ადგილია ეს ჩვენი სოფელი, არა გაეგებათ-რა, მოდი და გაამტყუნე... ამცრელები უნდა დადიოდნენ ხოლმე, რომ...

გ. ბერშუელი

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ინგლისში ამ ჟამად ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ინგლისი და ირლანდია რკინის გზით იქმნას შეერთებული. ძნელი იქ რკინის გზის გაყვანა იმით არის, რომ ეს კუნძულები ერთმანეთზედ ზღვით არიან დაშორებულნი. აზრადა აქვთ ამიტომ რკინის გზა ზღვის ქვეშ გაიყვანონ. უკვე შედგენილის პროექტით, რკინის გზა შოტლანდიის ნავთ-სადგურს პატრიკთან უნდა დაიწყონ და გაიყვანონ პატარა კუნძულ მეჯამდე, რომელიც ირლანდიის ნაპირთან მდებარეობს. ეს მანძილი 22 ინგლისურ მილს ან 35 კილომეტრს არ აღემატება. ძნელი ამ გზის გაყვანა უმთავრესად იმიტომ არის, რომ ზღვა მეტად ღრმაა. დღეს ლონდონიდგან ირლანდიამდე გემით კაცი უნდება სულ 13 საათს, რკინის გზა-კი რომ გაიყვანონ, მოუნდება 12 საათს, მაშასადამე მოგება ერთი საათი დროა მხოლოდ, მაგრამ ინგლისელთ ამ ერთი საათის დაკარგვაც არ უნდათ და ამისათვის 124 მილიონ მანეთს არა ჰზოგვენ. დიდი მომხრეა ამ გზის გაყვანისა ლორდი ბერესფორდი, რომელსაც უთქვამს, თუ კაპიტალისტებმა არ იკისრეს ამ გზის გაყვანა, მე ჩემის ხარჯით გავიყვანო.

* * *

როგორც ვუწყით, ქალების შლიაპები გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე კაცებისა. ამისი მიზეზი, რასაკვირველია, ის მრავალი ხიზილ-პიპილოები, ფრთები, მთელი ჩიტები და სხვა რამეებია, რომელიც ზედა აქვს დამაგრებული ქალების შლიაპებს. მაგრამ კაცების ისეთი შლიაპებიც ყოფილა და არის, რომლებიც სიძვირით არამც თუ არ ჩამოუვარდება ქალის შლიაპებს, აღემატება კიდეც. ყველაზედ უფრო ძვირი შლიაპა ჰქონდა ამერიკელ გენერალს გრანტს. ეს შლიაპა გრანტს მიართვეს საჩუქრად 1882 წელს, როდესაც ის მექსიკაში იყო. ღირდა შლიაპა 2,000 მანეთად. ამ ჟამად ეს შლიაპა ვაშინგტონის საერო მუზეუმში ინახება. მეორე ძვირი შლიაპა ამერიკელსავე ჰქონდა, — მისტერ ვილიამ სევარდას. ეს შლიაპა ღირდა 1,300 მანეთი. დღეს სამხრეთ ამერიკის მილიონერები იმ გვარ შლიაპებს ატარებენ, როგორც ამ სევარდას შლიაპა იყო. ასეთი შლიაპა იმდენად რბილი და სუმბუქია, რომ პატარა უბის ჯიბეშიაც კი თავისუფლად ჩაეტევა.

* * *

ლონდონის ქუჩებში დიდის მოძრაობის გამო საშინელი ხმაურობა და ალიაქოთია. თვით ლონდონელნი შეჩვეულნი არიან ამ ხმაურობას და არაფრად აგდებენ, მაგრამ უცხო კაცს ისე ეხამუშება, რომ გული უღონდება. ბევრი უცხოელი ერთ დღესაც ძლივს სძლებს თურმე ლონდონში, მეორე დღესვე სხვა რომელიმე ქალაქში გარბის. ეხლა მოუწადინიათ, ბოლო მოუღონ ამ უზომო ხმაურობას, ან და შეასუსტონ მაინც. ამ აზრით დაარსებულა რამდენიმე საზოგადოება. თვითოეულ საზოგადოებას ერთი რომელიმე საქმე აქვს მიჩემებული. ერთს, მაგალითად, აზრადა აქვს ებრძოლოს გაზეთების მყვირალა დამტარებლებს და, ასე თუ ისე, ეს ვაჟბატონები გადააჩვიოს ყვირილს, მეორეს უკისრია ვაჭრების ყვირილისაგან გადაჩვევა. აზრადა აქვთ ესრედ წოდებულ „შარმანჩიკებსაც“ აუკრძალონ ქუჩა-ქუჩა სიარული და თავიანთის მუსიკით ხალხის დატკბობა.

* * *

ერთ პეტერბურგელ ტეხნიკოსს, გვარად რ. მიკენს, გამოუგონია ახალი ველოსიპედი. გარდა იმისა, რომ ეს ველოსიპედი კაცს ბევრად ნაკლებ ჰღლავს, ვიდრე ჩვეულებრივი ველოსიპედი, იმით საათში თავისუფლად შეიძლება თურმე 50 ვერსის გავლა.

---

## გამოსადეგი ცნობა

—

ძალიან სასარგებლოა, რომ ზაფხულში ყვავილები ხორცისა ანუ გაბედნილ ფრინველის ნარეცხის წყალით მორწყან; ზამთარში-კი და საზოგადოდ სიცივის დროს ყვავილს ცივი წყალი, მიღიდგან პირდაპირ გადმოსული, არასოდეს არ უნდა დაასხათ, არამედ ისეთი წყალი უნდა იხმაროთ, რომელიც მთელს ღამეს ოთახში მდგარა.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 სექტემბერი

**კრონშტადტი.** ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა და დიდი ჰერცოგი გესსენისა ამალითურთ აქ მობრძანდნენ.

**პარიჟი.** „ფიგაროს“ რედაქტორს ლაპარაკი ჰქონდა გერმანიის კანცლერს თავ. გოგენლოესთან. კანცლერს უთქვამს, ტყუილია ის ხმები, ვითომ გერმანია რეინის განაჩენის გამო უარს ამბობდეს პარიჟის გამოფენაში მონაწილეობის მიღებისაო.

სამედიატორო სასამართლომ, რომელიც შესდგა ინგლის ვენესუელის საზღვრების გამოსარკვევად, ერთხმად ვენესუელის სასარგებლოდ გადასწყვიტა საქმე.

**კაპშტატი.** ხმა გავრცელდა, რომ ბურებს აზრადა აქვთ ინგლისის მიწა-წყალს დაეცნენო. ამის გამო ნაპდვილის წყაროებიდგან იუწყებიან, რომ ბურებს არავითარი ამისთანა არ განუზრახავთო.

**ლონდონი.** სამხრეთ აფრიკიდგან შემდეგი ამბები მოვიდა: ლედი-სმიტიდგან გუშინ საჩქაროდ გავიდა სამი რაზმი ჯარისა და გაემართა ორანჟეს რესპუბლიკისაკენ. ორანჟეის რესპუბლიკის არტილერიის უფროსი ალბრიხტი ჯარით ნირბერლისაკენ წავიდა. ბლუმფონტეინიდგან იუწყებიან, რომ გამოქვეყნებულ იქმნა კანონი უცხო ქვეყნელთა განდევნის შესახებ.

**დურბანი.** ყოველ წუთს ელოდებიან იმ ამბას, რომ ბურები საომარ მოქმედებას შეუდგნენო. ჩარლსტოუნში მცხოვრებთ მაღაზიები გაანადგურეს. სანდსპრუტში 5000 ბურია, მიუღერსფერმში — 4000. ინდოეთიდგან დურბანში გემი მოვიდა საომარის იარაღითა და სურსათით.

22 სექტემბერი

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე დანიშნულია ნიკოლოზის გენერალთა შტაბის საპატიო წევრად.

**იოჰანსბურგი.** მადნების კომისარი ოფიციალურად აცხადებს, რომ 29 სექტემბერს პროკლამაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ თუ ომი ასტყდა, მადნებს მაინც შეუძლიათ მუშაობა განაგრძონ და რომ ისინი მფარველობის ქვეშ იქმნებიანო, — ახლა გაუქმებულ იქმნა. კომისია ურჩევს ინგლისის ქვეშევრდომთ წადით, რაც შეიძლება საჩქაროდაო. დღეს საღამოს სამხედრო კომისიას სხდომა აქვს.

**ლორენცო-მარკეზე.** ტრანსვაალიდგან გამოქცეულთ ამბავი მოიტანეს, რომ რკინის გზის სადგ. მაკადოროზედ ბურთა ბრბომ მათ ქუდები მოახდევინეს, როცა ბურები ტრანსვაალურ სიმღერას მღეროდნენ. ზოგიერთი ინგლისელები ამათ ფეხქვეშ გაუთელიათ; ერთი სასიკვდილოდ დაუჭრიათ დანით.

**ლონდონი.** სარწმუნო პირები ამბობენ, რომ ტრანსვაალთან მოლაპარაკებისა და შეტაკების თავიდგან აშორების იმედი სრულიად მოსპობილია, თუ ტრანსვაალმა ბრიტანიის წინადადებანი მიიღო.

**კიევი.** ღამით ცეცხლი წაეკიდა და დაიწვა მთელი უბანი — 16 სახლკარი. უბნის მცხოვრებნი ღარიბ-ღატაკი ხალხია: ხელოსნები, მეეტლენი და სხვა.

**ხარკოვი.** ქალაქში 100-ზედ მეტი კაცი მოიწამლა ტორტით.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

—

სოფ. იტრიიდან მოწერილი ამბავი (იხილე „ივერია“ № 191) თავიდგან ბოლომდე სიცრუეა. სოფ. იტრიაში არავის არ აუშენებია სკოლა, ამიტომ არც კურთხევა იქნება მისი „ამ დღეებში“. საკვირველია ცრუ მოამბის საქციელი. ჩვენ მივხვდით, რომ იმას ჩვენი სასაცილოდ აგდება ჰქონია სახეში. მართალი იმ ამბავში ის არის, რომ მიტრიის ეკკლესიასთან არსებობს სამრევლო სამზრუნველო ნიკოლოოზ აბაზაძის თავმჯდომარეობით. ამ სამზრუნველოს წევრათ გახლავართ მე და სხვებიც. სამზრუნველოს მართლაც ვალად ედვა აეშენებინა სკოლა, მაგრამ, უნდა სიმართლე ვთქვათ, ბევრი არაფერი გაგვიკეთებია, მოამბეს რომ ცხადად მაინც გამოეხატა თავისს მონაწერში ჩვენზე დაცინვა, რომ არაფერს აკეთებენო, კიდევ არაფერი. ეს კი ვერაფერი მართებულებაა, რომ ქვეყანას ეგონოს ის, რაც არ მომხდარა და ამით ცრუ წარმოდგენილობა ჰქონდეს ვიღაც მოცლილი კაცის ტყუილის მეოხებით.

იტრიის ეკკლესიის მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი. *)

---

*) ამ შინაარსისავე წერილი მივიღეთ იტრიის სამრევლო სკოლის მასწავლებლის გ. ა. ნებიერიძისაგან. რედ.


## განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. — 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მეწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ქილა — 2 მან., პატარა — 1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში — ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

(100—150—7)

გამოვიდა გასაყიდად ბრონშტეინი რუსულ ენაზედ:

**НОВАЯ ПОСТАНОВКА ПЕДАГОГИЧЕСКАГО ДѢЛА ВЪ УЧЕБНЫХЪ ЗАВЕДЕНІЯХЪ**

თხზ. ი. ჴ. როსტომაშვილისა, ფასი 20 კაპ.

წიგნის მაღაზიებს დაუთმობთ 30%, თუ დაიბარებენ არა ნაკლებ 5 მანეთისა, და ფულს წინადვე გამოგზავნიან. ადრესი: ტფილისი, ივანე რუს. ძე როსტომაშვილს.

დაიბეჭდა და იყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი

ა. ს. პუშკინისა

ფასი 50 კაპ.